წელიწადი 1-ლი     გაზ. ფასი 3 შაური.    ტელეფონი № 76.    ხუთშაბათი ნოემბრის 30 (12) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ ... 3 მან.
ოთხი თვით ... 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი ... 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს ... 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე ...
ქალაქ გარედან შემოგზავნილ განცხადებაში ღირს ერთი ორად.
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულზე არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 1 საათ. 8 მ. 1 საათის შემდეგ 10 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 188    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 188

ქ. ქიათურა: საკრებულო დარბაზი. შაბათი, 2 დეკემბერი 1917 წ.

გაიმართება დიდი

## ეროვნული საღამო.

პირველი. **საკონცერტო განყოფილება.**

1. გურულ მომღერალთა გუნდი ჩაქურებში ს. ჩავლეშვილის. მონაწილეობით.
2. მომღერალი ვარდენ ლორთქიფანიძე.
3. სანდრო კავსაძე თავის გუნდით.
4. მომღერალი ქალი კაპელლა.
5. ტრიო — გამრეკელოვები.

მეორე. **სალიტერატურო განყოფილება.**

ია ეკალაძე, ნ. ლორთქიფანიძე, ალ. თორაძე, ილ. ქლდიაშე, იუმორისტი გ. ნუფუზიძე, მსახიობნი ი. აპტალიდი და სხვ.

მესამე. **ქართული ნადიმი** ✖✖ მეოთხე, **ცეკვა ეროვნული ევროპიული.**

პრიზები საუკეთესო ეროვნულ მორთულობისათვის და ეროვნულ ცეკვისათვის. სპარსული ყავახანა, იაპონური სახაიე, ლატარია, ბედნიერების ყუთი, აუქციონი და სხვა მრავალი გასართობი.

— დ ა ს ა ს რ უ ლ ვ ა ხ შ ა მ ი. —

დაუკრავს ქართული პოლკის მუსიკა და საზანდარი.

დასაწყილი საღამოს 8 საათზე.

საქ. ერ. დემ. პ. ქიათურის კომიტეტი.

---

**ქალაქის თეატრი.** პარასკევს, პირველ დეკემბერს, 1917 წელს **კოტე ფოცხვერაშვილის** გამგეობით და ქართული რაზმის სამუსიკო გუნდის მონაწილეობით გაიმართება პირველად თავისუფალ საქართველოში ქართული სამხედრო მუსიკის

## სანიმუშო კონცერტი

მრავალ საკონცერტო პიესათა შორის და უცხო ერთა სარევოლუციო ჰიმნ საგალობლთა გარდა შესრულებული იქნება პირველად საჯაროდ ქ. ფოცხვერაშვილის ახალი ქართული [illegible]

**ქართული ეროვნული ჰიმნი.**
**ქართული სამხედრო საგალობელი**
და **ქართული სარევოლუციო და საზეიმო მარში.**

ბილეთები ექვსი მანეთიდან ათ შაურამდე ამთავითვე იყიდება ტეატრის კასაში წმიდა შემოსავლის 50 პროც. გადაეცემა საუკეთესო ქართული ჰიმნის საკონკურსო თანხისათვის. ✦ დასაწყისი საღამოს რვა საათზე.

---

მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ა!

## მოქალაქეთა საყურადღებოთ.

ქალაქის სასურსათო გამგეობა აცხადებს, რომ მანუფაქტურის ბარათები დღეიდან ერთ კვირაში დამზადდება, და შემდეგ დარიგებას შეუდგებიან.

---

## განცხადება

ქ: ქუთაისის ქალაქის სასურსათო გამგეობა ამით აცხადებს, რომ ვისაც სურს ჩამოიტანოს სოფლებიდან ქ. ქუთაისში სიმინდი, სიმინდის ფქვილი და სხვა სურსათი კეთილ ინებოს და შემობრძანდეს ამავე გამგეობის დარბაზში მოსალაპარაკებლათ დილის 10 - 1 საათამდის

ქალაქის სასურსათო გამგეობა.

---

## ჩვენი ცხოვრების მორიგი საკითხი.

რუსეთის ძველი მთავრობა ძალიან გაჭირვებულ ფინანსიურ მდგომარეობაში იყო, რის გამოც შემოიღო **შემოსავლის კვალობაზე გადასახადი**. ამ გადასახადმა ჩვენში შეიძლება ბევრი ზიანი მიაყენოს მცხოვრებთ, რადგან 1) გაურკვევლათ და ბუნდოვანათ არის დაწერილი თვით კანონი ამ გადასახადების შესახებ და 2) ამით შეიძლება ვაგლახათ ისარგებლოს იმ პირებმა, რომელთაც აბარიათ გადასახადების გაწერა და აკრეფვა.

მთავარი ნაკლი ის არის, რომ კანონი არ არჩევს წყაროთა გვარობას, რომელთაც ეხება გადასახადი. მაშინ როდესაც ეგ ტიპი გადასახადისა ძალზე უსამართლო და საზიანოა, თუ ის ერთგვარი პროგრესიით გაიწევა სხვ. და სხვ. შემოსავლის წყაროებზე. დასავლეთ ევროპაში, იტალიაშიც კი არჩევენ, ანაწილებენ შემოსავალს ორ რიგათ: 1) შემოსავალი მუდმივი წყაროსაგან მაგ. ქარხანა, რომელის მუშაობა იმდენათ ხანგრძლივი და უზრუნველყოფილია, რომ არ არის დაკავშირებული მის მწარმოებლის ფიზიკურ არსებობასთან თუ ფიზიკურ ავკარგიანობასთან (ფუნდიერტეს ეინკომმენ). აგეთი შემოსავალი უკვე ფუძე ჩაყრილია, მუდმივია და აგეთ შემოსავალს მეტ გადასახადსაც აწერენ, მას შემოსავლის კვალობაზე გადასახადი უფრო მძიმეთ აწვება. 2) შემოსავალი, რომლის წყარო პირადი შრომაა გადასახადით დაბეგრილისა. მაგ. ვექილის შრომა, რომელიც მჭიდროთაა დაკავშირებული მის პირად ფიზიკურ არსებობასთან და ავ-კარგიანობასთან აგეთ შემოსავალს აკლია ხანგრძლივობა და შემდეგისათვის არ არის იმდენათ უზრუნველყოფილი, როგორც პირველი რიგის შემოსავალი. მას აკლია მუდმივი ფუძე. (უნფუნდიერტეს ეინკომმენ) აგეთ შემოსავალს, რასაკვირველია გადასახადი ისე მძიმეთ არ უნდა აწვებოდეს. ამის გარდა, მთელს ჟამს შემოსავლისას უნდა გამოაკლდეს დაბეგრილის საარსებო გასავალი (ექსისტენს მონიმუმ) და მხოლოთ დანარჩენს უნდა დააწვეს პროგრესიული გადასახადი. არც ეს ზომაა სათანადოთ დაცული რუსის მთავრობის მიერ. თუმც ზემომოყვანილი მოსაზრება ელემენტარულია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებრივ პრაქტიკისათვის, მაგრამ რუსეთის მთავრობას ამ პრაქტიკით სრულიათ არ უსარგებლნია, რადგან აგეთი დანაწილება შემოსავლის კვალობაზე გადასახადისა კანონში არ შეუტანია და მით სამართლიანი პროგრესიული გადასახადი უსამართლობის ნამცვილ გამომხატველათ გახადა; დაამზარალა, წელში გაწყვეტას უქადის ნივთიერათ შეუძლო ნაწილს მცხოვრებლებისას, რადგან მძიმე გადასახადის ერთსა და იმავე ტვირთს ერთბაშათ თავს ამსხვრევს დიდისა და მცირეს შემძლეს. ეს კლასიკური მაგალითია იმისი, თუ რუსეთში რა რიგ უკუღმართად მახინჯდება ევროპაში სამართლიანობისათვის შემოღებული სახელმწიფოებრივი მოსაზრება!

კიდევ ერთი ნაკლი. შემოსავლის კვალობაზე გადასახადს ფინანსიურსა და ისტორიულ მეცნიერებაში იმისთვის აქვს პატივისცემა მოპოებული, იმისთვისაა ის მიღებული და ცხოვრებაში გატარებული დასავლეთ-ევროპის სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ, რომ დიდი თანხა გადასახადისა მცირე პროცენტული რაოდენობათ ნაწილდება მცხოვრებთა შემოსავალზე და ისიც კიდევ შემოსავლის გადიდებასთან ერთად პროგრესიულათ მატულობს თვით გადასახადიც. ასე მაგ. ინგლისში ეს გადასახადი (ინკომეტაქს-სათ წოდებული) ჩვეულებრივათ არ აღემატება 5 — 7 პენსსა გირვანქა სტერლინგზე. მხოლოდ ყირიმის ომის დროს უდრიდა 16 პენსს, ბურთა ომის დროს 1902 წ. 14 პენსს ე. ი. 5—7 პროც. პრუსიაში ეგ გადასახადი იწყება 0,62 პროცენტით და არ აღემატება 5 პროც. აგეთივეა ამ გადასახადის სიმძიმე ავსტრო-უნგრეთშიც. ღარიბი იტალეთი კი იღებს უფრო მეტს. იქ გადასახადი ადის 12 პროც. და 13,2 პროცენტამდე. ეს გადასახადი მიჩნეულია, როგორც ფრიად მძიმე და აუტანელი. ეს მშვიდობიანობის, ცხოვრების, ვაჭრობა-მრეწველობის ნორმალ კალაპოტში მსვლელობის დროს*) ეს ისეთ ქვეყანაში, რომელიც დიდი ხანია უკვე შეჩვეულია შემოსავლის კვალობაზე გადასახადის ტეხნიკას და მის სისტემას. 1) რუსეთში კი, ჯერ სრულიათ შეუჩვეველ, გამოუცდელსა და ყველაზე ღარიბ რუსეთში კი ეს გადასახადი აღწევს, თქვენ წარმოიდგინეთ, 20 2F პროც შემოსავლისას! ეს მოვლენა, შემოსავლის კვალობაზე გადასახადის ამგვარი სისასტიკითა და შეუბრალებლობით, სრულიათ წინდაუხედველათ გატარება, დიდ საფრთხეს უმზადებს ჩვენს ნორჩს ვაჭრობა-მრეწველობას და საქმიანობას. როდესაც გაწერილ გადასახადების აკრეფას დაუწყებენ და ხალხი იგრძნობს მის სიმწვავეს, შეიძლება, არასასურველი შედეგი მოყვეს მას ჩვენს წარმოებაში. ეგ ფრიად სიმპატიური კანონი პროგრესიულ გადასახადისა ფრიად უვიცად და შეუგნებლად, ცხოვრების პირობათა გაუთვალისწინებლათ არის შემოღებული და საჭიროებს ძალიან ბევრს შესწორებას. საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფინანსიურმა სექციამ უსათუოთ უნდა ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას და სათანადო ანგარიში გაუწიოს გადასახადების წარმოების, როგორც პრინციპებს, ისე მის ტეხნიკასაც, რომელთა ხასიათზე დამოკიდებულია ჩვენი მეურნეობითი ცხოვრების მსვლელობა.

ტიტე მარგველაშვილი.

*) დამახასიათებელია რუსეთში ის ცალმხრივობაც, რომ პროგრესიულ გადასახადის განმანაწილებელ კომისიაში შედის მხოლოდ რაოდენიმე ვაჭარი და არ შედის არც ვექილთა არც ექიმთა და არც სხვ. ლიბერალურ„ თავისუფალ პროფესიის წარმომადგენელი არ კმარა, რომ ესენი მეტათ დაბეგრილი არიან. თავიანთი ინტერესის დამცველიც კი არა ყავთ კომისიებში.

ტ. მ.

## რუსეთის დამფუძნებელი კრება.

### და საქართველოს კითხვა

რეალ ძალთა განწყობილება რევოლუციის დროს არ შეიძლება ვიხმაროთ იმის საზომად, დამკვიდრდება თუ არა ესა თუ ის მიმართულება საბოლოოდ.

მეცხრე თვე გადის მას აქეთ, რაც რევოლუციის ცეცხლში ვიწვით და ამ ხნის განმავლობაში ნათლად დავრწმუნდით, რომ ის რეალი ძალები, რომელნიც გუშინ ერთი მიმართულების, ან პარტიის ზურგს ამაგრებდნენ, დღეს უკვე სულ წინააღმდეგ მოვლენას ეთაყვანებიან. ეს კანონი არის რევოლუციისა და ყველაზე უფრო შეუგნებელ მასას ეხება.

რევოლუციის პირველ დღეებში ყველას დიდი იმედი ჰქონდა რუსის ჯარისა, ეს ჯარი ჯერ ეს-ერებსა და მენშევიკებს გაჰყვა. შემდეგ, თითქმის მთლიანად ბოლშევიკებისაკენ გადიხარა და დღესაც ბოლშევიკურ პრინციპების „განხორციელებას“ ემსახურება.

რას იზამს ეს ჯარი მომავალში, ვის გაუწევს მფარველობას და რომელ მსოფლმხედველობას „გაიზიარებს“, ეს სავსებით იმაზე არის დამოკიდებული, თუ რა სახით ჩამოყალიბდება რუსეთის საგარეო, გინდ საშინაო პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება. ეს კითხვა დაკავშირებული არის აგრეთვე თვით ჯარის, როგორც ერთეულის, არსებობაზე თუ არ არსებობაზე.

ერთი კი ცხადია ყოველ შემთხვევაში. ასე თუ ისე ომს ბოლო მოეღება და ჯარის შემადგენლობა რუსეთის დემოკრატიულ თუ არა დემოკრატიულ მასებში გაითქვიფება. დღევანდელი ჯარის კაცი ხვალ სოფელსა და ქალაქს დაუბრუნდება და ჩვეულებრივ არსებობისათვის ბრძოლას განაგრძობს.

მაშასადამე ის აღარ იქნება დაინტერესებული ომისა და ზავის კითხვით იმ რიგად, რა რიგადაც ის აქამდე გრძნობდა, ან გრძნობს ამ კითხვის სიმწვავეს. ეს კი ბოლშევკურ რაზმის შემადგენლობას მეტის მეტად შეამცირებს.

ასეთ შემთხვევაში ცხადია სახელმწიფოებრივ კვერთხს ისე მაგრად ველარ დაიჭერს ხელში ტროცკი თუ ლენინი. ამათი ხელები დასუსტდება და სამაგიეროდ სულ წინააღმდეგ მიმართულებას მიეცემ ძალა. ესენი იქნებიან კადეტები და არას გზით სოციალისტები.

ამას გვიმტკიცებს რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები. თვით ბუდე ბოლშევიკებისა, პეტრეს ქალაქი და მოსკოვი, სათუოდ ხდის ბოლშევიკების გამარჯვებას. სხვა ქალაქებში და დაბებში ხომ კადეტები აშკარათ სჯარბობენ ბოლშევიკებს. საკმარისია გაზეთებში მოყვანილ საარჩევნო ცხრილს გადავხედოთ, რომ ნათქვამი გაგვიმართლევს. თუ სჯარბობენ სადმე ბოლშევიკები კადეტებს, არა უმეტეს 5—10 პროც. რაც შეეხება სხვა სიებს, მესამე ადგილი, თუმცა მეტად მცირე და უმნიშვნელო, სოციალისტ-რევოლუციონერებს უკავიათ. სხვა პარტიებზე ლაპარაკიც მეტია. ისინი თითქმის არა სჩანან ცხრილში.

ამნაირად დამფუძნებელი კრება, თუ ასეთი რუსეთს ეღირსა, სულ სხვა გვარ პოლიტიკურ სახეს მიიღებს, ვინემ ეს ბევრს ეგონა რევოლუციის დასაწყისში. იქნება ორი ფრაქცია, რომელთა შეჯახების ნაყოფი იქმნება მომავალი რუსეთის ბედი. ესენი არიან კადეტები და ბოლშევიკები. თუ იქნებიან სხვა მცირე ფრაქციებიც, ვფიქრობ, რომ ესენი ან ბოლშევიკებს მიემხრონ, ან კადეტებს. ისინი გარიყულნი დარჩებიან და ვერც გადამწყვეტ როლს ითამაშებენ ფრაქციათა ბრძოლის დროს.

ამას ჩვენ ვიწინასწარმეტყველებთ და ამისდა მიხედვით უნდა მოუაროთ კიდეც საქართველოს კითხვას, რომელიც, ეჭვს გარეშე, დიდ კითხვად იქნება წამოყენებული რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე.

როგორც კადეტები, ისე ბოლშევიკები საქართველოს, როგორც ამიერ კავკასიის ტონის მიმცემს, უეჭველია ასე იოლად არ შეელევიან. ორთავეთათვის საქართველო, დიდს განძს შეადგენს, ხოლო ორთავენი სხვადა სხვანაირად ისახავენ საქართველოს როლს მათი იდეალების განხორციელების პროცესში.

კადეტების იმპერიალიზმიც ისევე გადაყლაპავს გვიქადის, როგორც ბოლშევიკების არხი-სოციალიზმი. კადეტებისათვის საქართველო და მთელი ამიერ კავკასია მასალა არის რუსეთის ეკონომიური ძლიერებისა. ბაქო და ქიათურა, უამრავი ბუნებრივი სიმდიდრე კადეტების აზრით უსათუოდ რუსეთის ეკონომიურ ძლიერებს უნდა მოხმარდეს. მომავალი სამთამადნო და სამეტალურგიო მრეწველობა საგრძნობლად ისახება და გაიზრდება კიდეც ჩვენში, რაც აგრეთვე გათვალისწინებული აქვთ რუსეთის ბურჟუაზიასაც და დემოკრატიის მესვეურთაც:

ამას ზედ დაურთოთ ახლად გამოქვეყნებული საიდუმლო ხელშეკრულებების მიზნები, რომელნიც არ შეადგენდენ მარტო თვითმპყრობელობის საზრუნავ საგანს. კოალიციური და „რევოლუციური“ დროებითი მთავრობაც ბევრით არ განსხვავდებოდა ამ მხრივ თვითმპყრობელურ მთავრობისაგან. მთელი სამაჰმადიანო საქართველო და ოსმალეთის დიდი და მნიშვნელოვანი ჩამონაჭრები რუსეთის ტერიტორიაში უნდა შესულიყო. რას ნიშნავს ეს საქართველოსათვის? ჩვენი ტერიტორია ხიდი იქნებოდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის. კადეტებისათვის ეს ცოტაა. მათ სტამბოლი და სრუტეები აქვთ ამოღებული ნიშანში. თუ საქართველო რუსეთის საკანონმდებლოში არ შევიდა კადეტები ვერც ოსმალეთის ტერიტორიის ჩამონაჭრებს შეიტანენ თვისი მმართველობის ფარგლებში და მით უმეტეს სტამბოლის სრუტეებს უნდა გამოეთხოვონ. ამას კი ისინი არ დასთმობენ. მაშასადამე საქართველოს საკანონმდებლო თვითმართველობასაც ვერაფრის გზით ვერ შეურიგდებიან. ამ გვარად ჩვენ არ უნდა ვიქონიოთ რუსეთის დამფუძნებელი კრების იმედი ჩვენი კითხვის სათანადოთ მოგვარებაში, თუ დამფუძნებელ კრებაზე კადეტები იქნებიან გაბატონებული.

ქართველი ერის თვით გამორკვევა 19 ნოემბრიდან ნათელი შეიქმნა. ეროვნულ ყრილობის მიერ ერთხმად მიღებული რეზოლუციები ნათლად მოწმობენ, რომ კადეტებისათვის ეს მისაღები არ არის.

არ არის მისაღები ეს არც ბოლშევიკებისათვის. ბოლშევიკების საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილიალმა განყოფილებამ ცხადჰყო ეს. ფილიპე მახარაძემ, როგორც ლიდერმა ამიერ კავკასიის ბოლშევიკებისამ, ბრძოლა გამოუცხადა ყველაფერ იმას, რაც მიიღო ქართველი ერის პირველმა, ერთ სულოვანობით გამსჭვალულმა ეროვნულმა ყრილობამ. არ ვიცით ეწინააღმდეგება თუ არა ასეთი ნაბიჯები ჩვენის ბოლშევიკებისა ჯუღაშვილი-სტალინის დეკრეტს ეროვნულ კითხვაზე, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის აშკარაა, რომ თუ ბოლშევიკების მონა-მორჩილი არ იქნება ქართველი ერი, ისინი ერის სუვერენობასაც მხოლოდ ქაღალდზე დასტოვებენ და ყოველგვარ თვითგამორკვევის პრინციპსაც შეებრძოლებიან.

ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, კადეტების არ იყოს, ბოლშევიკები არ დასთმობენ საქართველოს.

თანაც ბოლშევიკები, ყოველივეს და მიუხედავათ, ცენტრალისტები არიან. პოლიტიკური თავისუფლების წინააღმდეგი ისინი არ იქნებიან, მაგრამ, თუ საქართველოში მითი რეცეპტები არ განხორციელდა, თუ მათი სურვილისამებრ სოციალიზმი დაუყოვნებლივ არ დამყარდა ჩვენშიც, რაც აშკარაა თავისთავად, მაშინ ბოლშევიკებიც ისევე გადაელობებიან საქართველოს თავისუფლებას, როგორც გადაელობებიან ამას კადეტები,

აქედან ცხადია რომ რუსეთის დამფუძნებელი კრების ნებისყოფის გამომხატველი ძალები საქართველოს მალამოს ვერ დასდებენ.

ამნაირად, რუსეთის დამფუძნებელი კრებისაგან ჩვენ არ უნდა მოველოდეთ საქართველოს კითხვის იმ რიგად გადაწყვეტას, რა რიგადაც ამას ქართველი ერის ინტერესები მოითხოვენ.

იბადება კითხვა: რა გზას უნდა დავადგეთ ჩვენ, რომ თავიდან ავიშოროთ ასეთი საფრთხე? ამაზე შემდეგ.

ი. ხ—შვილი.

## ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტი.

ნოემბრის 26-ს, თბილისში საქართველოს ეროვნულ საბჭოს პირველი ყრილობა გაიმართა. არჩეულ იქმნა ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც შესდგება 15 კაცისგან.

აუცილებელი მოხდა. საქართველოს საკუთარი გამგებლობა რეალათ ხორცს ისხამს. უპასუხისმგებლობის სხვის ოპეკის მახინჯი ეპოქა უნდა დაემხოს.

საქართველოს ეროვნული საბჭო პირველი სადი და მამულიშვილური ნაბიჯია, 120 წლის მონობის შემდეგ ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა, რომ გადასდგეს.

დღეს საბჭო იგი ჩანასახია მომავალ ძლიერ ეროვნულ გამგებლობისა.

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ დღეს ამ ჩანასახს საერთო თანამშრომლობა სჭირია, რათა იგი გამაგრდეს და იქცეს მთელი ერის ნებისყოფის აღმასრულებლათ.

ნოემბრის 26-ს ეროვნულმა საბჭომ ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტი აირჩია.

15 კაცში ორის მეტი ყველა სოციალისტია.

სხვა დროს და სხვა გარემოებაში ამის შესახებ ჩვენ შეიძლება არაფერი გვეთქვა. ახლა კი, როდესაც ჩვენი ყოფნა არ ყოფნის კითხვაა დასმული, როს შეკავშირებულათ გიგანტური მუშაობა გვჭირია ეროვნული თვალთახედვით პარტიულ პრინციპების გამოკიდება მიზანშეწონილი ვერ არის და ვინატროთ, რომ მან ზიანი არ მოუტანოს დიდ საქმეს.

გვიკვირს სიხარული ფედერალისტების „სახალხო ფურცლისა“. გაზეთი აღტაცებაში მოდის იმ მოვლენით, რომ აღმასრულებელ კომიტეტში სოციალისტების უმრავლესობაა.

სჩანს გაზეთი გატაცებულია რუსულ საზომით; როდესაც პეტრეს ქალაქში ამბობენ მთავრობა ერთფეროვანი სოციალისტურიო, იმავე ფრაზის განმეორება საქართველოში არას გზით არ შეიძლება.

ახლად ფეხადგმულ საქართველოსთვის შეუფერებელია იმ პრინციპებისთვის ბრძოლა რომელიც მას დაქსაქსვის და დასუსტების მეტს არას მოუტანს.

ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებულია.

იმ ატმოსფერაში, რომელშიც ვსცხოვრობთ წამდაუმწუმ მხოლოთ ერთი, რამ უნდა გვახსოვდეს: „საერთო ძალით, გაერთიანებულ თანამშრომლობით ჩვენი თავი დავიცვათ, არსებობა შევინარჩუნოთ“. თვითონ ცხოვრება თავის ძლიერი კანონით ამტკიცებს, რომ ქვეყნის პატრონობა ცალკე კლასობრივ პარტიებს არ შეუძლიათ.

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ის ორგანოა, სადაც სამშობლოსთვის ყველა გულწრფელ მებრძოლს უნდა ჰქონდეს ადგილი. გაკვრით ვსტყვით, რომ ჩვენი ფედერალისტები სამშობლოს სიყვარულს ვერავის ასწავლიან.

მაგრამ ახლა დრო არ არის გამწვავების. ეს აღვნიშნეთ, მხოლოდ საინფორმაციოთ.

ნაყოფიერი ყოფილიყვეს ეროვნულ აღმასრულებელ კომიტეტის მუშაობა, სასწრაფოდ დამკვიდრდებოდეს მას ძლიერი საფუძველი, ქართველი ხალხის ჭირვარამისთვის გაეცეს პასუხი საჩქაროთ შექმნას ეროვნული ცხოვრების ფუნქციები; საშინაო და საგარეო სახელმწიფური პოლიტიკა და სხვა.

სრულიად საქართველოს ხალხი ამიგრიდან თავის ეროვნულ აღმასრულებელ კომიტეტს დაემორჩილება.

ი. დიდიძე.

## ამიერ-კავკასიის კომისარიატის

### განკარგულებანი.

#### 1 დეკრეტი

**ამიერ კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ.**

1) დებულება საერობო თვითმართველობის შესახებ ვრცელდება მთელ ამიერკავკასიაში.

2) იმ გუბერნიებში, ოლქებში და მაზრებში, სადაც ადმინისტრატიული გადამიჯვნის საკითხი სრულებით უდავოა, ეხლავე უნდა იქნეს შემოღებული ერობა.

**შენიშვნა:** საადმინისტრაციო საზღვრების მხრივ უდავო ადგილები არიან: ბაქოს, ქუთაისის და შავი ზღვის გუბერნიები, ბათუმის და დაღესტნის ოლქები, სოხუმის და ზაქათალის ოლქები, ტფილისის, სიღნაღის თელავის, თიანეთის, დუშეთის, გორის და ახალ-ციხის მაზრები; განჯის გუბერნიის არეშის და ნუხის მაზრები და ყარსის ოლქის, არდაგანის და ოლთისის ნაწილები.

3) ამ დეკრეტის გამოცხადების დღიდან ერთი თვის განმავლობაში ამიერ კავკასიის კომისარიატი მოახდენს თათრების, სომხების და ქართველების ეროვნულ საბჭოების გარდაწყვეტილებათა თანახმად სადავო ადგილების ადმინისტრატიულ გადამიჯვნას და ამის შემდეგ შეუდგება ამ ადგილებში: გუბერნიებში, ოლქებში და მაზრებში ერობის შემოღებას.

**შენიშვნა** ადმინისტრატიულის მხრივ სადავო ადგილებად მიჩნეულნი არიან: ერევნის გუბერნია. განჯის, ყაზახის, დჟევანშირის, შუშის, ზანგეზურის და კარიაგინის მაზრები. ყარსის ოლქის ყაგიზმანის და ყარსის ნაწილები და ტფილისის გუბერნიის ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრები.

ხელს აწერენ: ამიერ კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარის მაგიერ შინაგან და საფოსტო სამინისტროების საქმეთა კომისარი ა. ი. ჩხენკელი.

#### 2. დეკრეტი.

უფლებათა გათანასწორების და სხვა და სხვა ხარისხების მოსპობის შესახებ.

1. ყოველი მოქალაქე, განურჩევლად ჩამომავლობისა ეროვნებისა და სქესისა, სარგებლობს ერთნაირი უფლებებს. კანონები აღნიშნული წოდებრივი სხვადასხვაობანი, უპირატესობანი და განსაზღვრანი და აგრეთვე წოდებრივი დაწესებულებანი უქმდებიან.

2. ყოველგვარი წოდება (თავადაზნაურული, ვაჭრისა მეშჩანინისა, გლეხისა და ტიტულები თავადური და სხვა) უქმდება და შემოღებულ იქმნება ყველასთვის ერთი საერთო სახელწოდება: „რუსეთის რესპუბლიკის მოქალაქე“.

3. ყოველგვარი სამოქალაქო ხარისხი და განსხვავებანი და ამით გამოწვეული უპირატესობანი, გარდა პირადი მამაცობით ომში მიღებულ განსხვავებულ ნიშნისა, გაუქმებულ იქმნებიან.

4. ამის სათანადო დღემდის არსებული კანონები გაუქმდება.

5. ამ დეკრეტის ძალა მთელ ამიერკავკასიაში ვრცელდება.

6. ეს დეკრეტი შედის ძალაში დღიდან დამოცხადებისა.

ხელს აწერენ: ამიერ კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარის მაგიერ ა. ი. ჩხენკელი: იუსტიციის სამინისტროს საქმეთა კომისარი **შ. ალექსი მესხიშვილი.**

**რ ე დ ა ქ ც ი ი ს გ ა ნ.**

ქაღალდის ნაკლებობისა გამო ჩვენი გაზეთი დროებით ორი გვერდი გამოდის რედაქცია სცდილობს საჩქაროთ შეიძინოს საყოფი ქაღალდი რის შემდეგაც გაზეთი ჩვეულებრივ ფორმატით გამოვა.

## ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

ქართ. შორის. წ. კით. **გამავრცელებელ საზოგადობაში** 8 დეკემბერს ქ. თბილისში შესდგება ქართ. შორის წერა კითხვის გავავრცელებელი საზოგადოების საზოგადო კრება გამგეობის ასარჩევათ.

**კვირას, 3 დეკემბერს,** შავი ქვის საბჭოს დარბაზში დღის 11 საათზე მოხდება ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა არა ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნება 8 წარმომადგენელი თბილისში, 8 დეკემბერს ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრებაზე დასასწრებლათ.

**სახალხო მასწავლებლების ჯამაგირების მომატება.** ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა იქონია მსჯელობა სახალხო მასწავლებლების მდგომარეობის შესახებ და დაადგინა რომ ვინაიდან სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობა სიძვირის გამო ძლიერ აუტანელია და რადგანაც მთავრობისაგან არავითარი დახმარება არ ეძლევათ, მოწვეულ იქმნეს განსაკუთრებული თათბირი, ადგილობრივ საშუალებით მათი დაკმაყოფილების შესახებ. ამ მიზნით კომიტეტი, კვირას, 3 დეკემბერს იწვევს განსაკუთრებულ კრებას, რომელზედაც დაისწრებიან: ქალაქის გამგეობის წევრი, ქალაქის სასკოლო კომისია მთელი თავისი შემადგენლობით, მასწავლებელთა კავშირის გამგეობა და პროვინციელ ფილიალურ განყოფილებებიდან თითო წარმომადგენელი. ამ კრებამ ერთხელ და სამუდამოთ უნდა გამოარკვიოს სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობა.

**გაფიცვის მოხსნა.** როგორც გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებული გვქონდა, ადგილობრივმა მილიციამ 28 ნოემბერს გაფიცვა გამოაცხადა, რადგანაც მათ ჯამაგირები არ ეძლეოდათ. საღამოს 4 საათზე მილიციონერებმა გაფიცვა მოხსნეს, ვინაიდან მათი მოთხოვნილება, რამდენადაც შეიძლებოდა, დაკმაყოფილებულ იქმნა.

**კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების მეექვსე ყრილობა.** დღეს, 30 ნოემბერს ქ. თბილისში გაიხსნება კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების მეექვსე ყრილობა, რომელზედაც გაირჩევა 25—ზე საკითხი. ყრილობა რამდენიმე დღეს გასტანს.

**ქუთაისის ქალაქის საბჭომ** თბილისში კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების მეექვსე ყრილობაზე დასასწრებლათ აირჩია ქალაქის მოურავი დ. კალანდარაშვილი. ქუთაისის ქალაქის საბჭოს უფლება ჰქონდა გაეგზავნა 3 წარმომადგენელი, მაგრამ მხოლოდ ერთი აირჩიეს კალანდარაშვილი თბილისის 29 ნოემბერს საღამოთი გაემგზავრა.

**გზის გაკეთება** ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: ვინაიდან სხვადასხვა საზოგადოების და რაიონების აღმასრულებელი კომიტეტები შუამდგომლობას სძრავენ გზების გაყვანისა და ხიდების გაკეთების შესახებ. რომელთა მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიაში მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფება, მოწვეულ იქმნას საგანგებო კრება საგუბერნიო ინჟინრისა და სხვა სპეციალისტთა თანდასწრებით, რათა გამომუშავებულ იქმნეს ზომები, რომ ქუთაისის გუბერნიაში გაკეთდეს ხიდები და გაყვანილ იქმნეს გზები.

**ქუთაისის ქალაქის საბჭომ** ქალაქის მოურავის მოადგილეთ, აირჩია ი. თევზაძე ნაცვლად მ. ბასილიასი გამგეობის წევრით შ. მძიმე ნაცვლად თევზაძისა და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ გრ. ურატაძე ნაცვლად ს. გეგელაშვილისა.

**წარმოდგენა.** დღეს, 30 ნოემბერს ქალაქის თეატრში წარმოდგენილ იქმნება ვ. ბარველის რეჟისორობით გერმანიის ცნობილი პიესა, „იმედის დაღუპვა“.

**კონცერტი კ. ფოცხვერაშვილისა** 1 დეკემბერს კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი გამართავს დიდ კონცერტს· კონცერტზე დაუკრავს ქართული რაზმის სამხედრო მუსიკა

**ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეების საკითხი.** ამ რამდენიმე ხნის წინათ ქალაქის გამგეობაში მოთხოვნილება წარადგინეს ქალაქის თვითმართველობის ყველა დარგის მოსამსახურეებმა; ისინი ჯამაგირების მომატებას თხოულობდნენ. ეს საკითხი ქალაქის საბჭომ გაარჩია თავის უკანასკნელ სხდომაზე. გამგეობამ წარმოადგინა თავისი მოხსენება. გამგეობის აზრით თვითეულს უნდა მომატებოდა თვიურათ 15 მანეთიდან 30 მანეთამდის და მისცემოდათ აგრეთვე 5 წლის დამსახურების გამო. გამგეობის გადაწყვეტილებას საბჭომ კიდევ თავის მხრით თვითეულს მოუმატა თვეში ოც ოცი მანეთი.

**ადგილების გადაცემა საადგილ-მამულო კომიტეტის განკარგულებაში.** ქუთაისის გარნიზონის ჯარის კაცთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, აჯამეთში არსებული ანანოვის ტყე და სალორიის აგარაკი გადავიდეს ქუთაისის გუბერნის საადგილმამულო კომიტეტის განკარგულებაში

**ციხის მოსამსახურეების შესახებ** თბილისის ციხის ინსპექტორი სთხოვს ქუთაისის გუბერნიის კომისარს გიორგაძეს შეატყობინოს, რამდენს ღებულობენ თვიურათ ქუთაისის ციხის მეთვალყურეები და სასურველია მათ მიემატათ ჯამაგირები თუ არა.

**უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებლები.** ქუთაისის ქალაქის საბჭომ დაადგინა ქუთაისში არსებული უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებლები, თანახმათ ახალი კანონისა ჩაიბაროს ქალაქის სასკოლო კომისიამ.

**ადგილების იჯარით გადაცემა.** სალორიის აგარაკის სახნავ-სათესი ადგილები თანახმათ ქალაქის საბჭოს დადგენილებისა იჯარით გაიცემა.

**ლატაკთა მდგომარეობა.** ქუთაისში ამჟამათ დიდძალი ლატაკები არიან და ყოველ დღეს ქალაქის თვითმართველობაში თხოულობენ დახმარებას. ქალაქის თვითმართველობა მათ სასარგებლოთ 8-სა და 9 დეკემბერს მოაწყობს სადაწოსა და ყულაბებით ფულის შეკრებას.

**დღეს,** საღამოს 7 საათზე წყალგალმა მე 4 უბ. ს.-დ. კომიტეტი აცხადებს, რომ მოხდება კრება ქალაქის თავდაცვის კითხვის შესახებ.

## † დავით ბაქრაძე.

კიდევ ერთი მოამაგე მოაკლდა ჩვენს საზოგადოებას. აღარ არის დავით ბაქრაძე, რომელიც თავის ხანგრძლივი სიცოცხლეში ქართულ საქმიანობას სათავეში უდგა.

თითქმის ყველა სავაჭროს, საკრედიტოს, საბანკოს, სამოსამართლოს და სხ. საქმეში, რომელიც კი ქართველ საზოგადოებას მოუწყვია, დავით ბაქრაძეს კალამს თავისი კვალი დაუტოვებია. შეიძლება ითქვას, რომ საქმის ქაღალდების შედგენაში ჩვენში მას ცალი არა ჰყავდა.

იმავე დროს ის იყო ჩვენი საგაზეთო ლიტერატურის ერთერთი თანამშრომელი. კალამი უჭრიდა და ეს ღირსება ცოდნასთან ერთად საინტერესოდ ქმნიდენ მის წერილებს.

მეტადრე პოლიტიკა ენტერესებოდა და ევროპის სახელმწიფოთა საერთაშორისო ცხოვრებას სიკვდილის დღემდის ადევნებდა თვალყურს, მახსოვს, ერთხელ მითხრა: რომ ვიცოდე, რომ საღამოს მოვკვდები, დილას მაინც სიამოვნებით წავიკითხავ გაზეთსო.

პოლიტიკაში სიფრთხილეს ქადაგებდა. თუმცა ჩრდილოეთიდან შველას არ ელოდა. რევოლუციის პირველ დღეებში, როდესაც ბიუროკრატიაზე ადგილი გამარჯვებით ყველა დამთვრალიყო, ამბობდა: ცოტა ხანს კიდევ მოითმინეთ და გაიგეთ, როგორ ისახელებენ თავს ჩრდილოეთის მოქალაქენიო. არა სწამდა მათი პოლიტიკური მომზადება. გულრწფელი მამულიშვილი იყო! და ჩვენს უბედურებას ჭირისუფალივით თავს დასტიროდა!

მაგრამ ვერ მოესწრო საქართველოს პოლიტიკურ განთიადს და მამულიშვილის დარდი საიქიოს წაიღო.

საუკუნო იყოს ხსენება მისი.

ვასილ წერეთელი.

## სამერმისო.

### 2. საქართველოს ფინანსები

ფინანსური პოლიტიკა ყოველი არსებისა, სახელმწიფო იყოს ის, ვინც ავტონომია, თუ ქალაქი ან კერძო პირი, გახსნაა [illegible] ფინანსური [illegible]

ამ მიზეზით ეროვნული ყრილობის [illegible] სექციამ, რომელშიაც თავი მოიყარა საქართველოს ეკონომიის და მოწინავე მოღვაწე ძალის ყველა დარგებს წარმომადგენლებმა, გაითვალისწინა სხვადასხვა ფაზისი იმ პოლიტიკისა, რომელნიც ბუნებრივად გამომდინარეობენ თანამედროვე ომის და რევოლუციის სვლიდან.

სანამ არსებობს ჩვენი ქვეყნის ერთობა და მისვლა-მოსვლა რუსეთთან უნდა ვაწარმოვოთ ერთი ფინანსიური პოლიტიკა, და სულ სხვა გვარი გეგმა და ზომები გვიდგება წინ, როცა ეს კავშირი თავისთავად სწყდება. აგრეთვე როცა მოქმედობს დღევანდელი დროებითი ამიერ-კავკასიის მმართველობა, ჩვენს ქვეყანას და მის საბჭოს ბევრად ნაკლები ფინანსიური საშუალება სჭირია, ვინემ მაშინ, როდესაც ეს მმართველობა დაუძლურდება. რაც მეტი თვითმართვა აწევს მხარეს, მით უფრო ფინანსიურ შემოქმედებას ავალებს მას აუცილებელი საჭიროება.

სამივე ეს მდგომარეობა გაითვალისწინა ფინანსიურმა სექციამ, სამი დღის ყოველმხრიულ გამოკვლევით. მისი რწმენით ნორმალურ პირობებში საქართველოს შე-, მოსავალი და ფინანსიური ძალა მის ხარჯს და პოლიტიკურ საჭიროებებს დაფარავს, თვით ის უსაზღვრო საჭიროება, რომელთაც თავზე გვატეხს ომი და მისი შედეგი მარტყოფა, შეედრება ჩვენ მამულის პოტენციური ენერგიის აღორძინება.

ყველაზე უბედნიერესი დასკვნა სექციის გამოკვლევისა ის გახლავთ, რომ მისი რწმენით ეს აღორძინება შესაძლოა ყველა ჩვენი პარტიის და დარგის არსებითი პრინციპების და ინტერესების შეულახველად.

საქართველოს ფინანსიური წარმატება დაავგვირგვინებს და გააძლიერებს მის პოლიტიკურ პარტიების შეთანხმებას, ამნაირ მოქმედებას.

რისაც უნდა გვქონდეს მომავალი ფინანსიური შესაძლებლობა საქართველოს მხარს გაუმაგრებს მის პოლიტიკურ მდგომარეობას.

ამ სანუგეშო დასკვნას დაადასტურებს და გვჯერა გაახორციელებს ის საერო საბჭო, რომელსაც ეროვნული ყრილობა აარსებს და რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის სადათას ძილისგან აღდგომას, მისი შემოქმედების გამხნევებას იმავე გზით როგორითაც გაძლიერდა ევროპა, იაპონია ამერიკა.

ამ საბჭოს მოქმედება და გავლენა ამიერ-კავკასიის მმართველობაზე და ჩვენი მამულის მომავალზე მით უფრო ძლიერი იქნება, რაც მეტ ფინანსიურ საშუალებას აღმოუჩენს მას ქართველობა. მას ჯერ რასაკვირველია არ ეძლევა უფლება პირდაპირ შეეხოს ჩვენი ქვეყნის ხაზინას და სიმდიდრეს, მაგრამ იმ გეგმების შექმნაც, იმ გზების კვლევაც, იმ ენერგიის კრება, რომელნიც საჭირო არიან ჩვენი არსებობის შესაძენად, თქვენს დიდ ძალ თანხას მოსთხოვს. საფინანსო სექცია ამ მიზეზით ერთხმათ გთხოვთ გააძლიეროთ ქართველი ერის პოლიტიკური წარმომადგენლობა, აღჭურვოთ მომავალი საერო საბჭო უფლებით, ჰკრიბოს ნებაყოფლიური გადასახადი და იღოს სესხი საქართველოს საქმის დასაცავად.

ნ. ნიკოლაძე.

## წერილი რედაქციის მიმართ·

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო იმ პირთ რომლებმაც დასავლეთ საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სტუდენტთა ორგანიზაციას თავიანთი წვლილი შემოსწირეს.

| | | |
|---|---|---|
| ალექსანდრე საყვარელიძემ | 100 | მან. |
| სიმონ ხეჩინოვმა | 50 | „ |
| მიხეილ ლორთქიფანიძემ | 3 | „ |
| ვახარმა მელაშვილმა | 5 | „ |
| მიხეილ ჭავჭანიძემ | 20 | „ |
| წიგ. მაღ. მთავრიშვილის ამხანაგ. | 50 | „ |
| ივანე პურადაშვილმა | 10 | „ |

დასავლეთ საქართველოს ერ. დ. პ. სტუდენტთა ორგან. პრეზიდიუმის თავმჯდომარე: ბიკენტი აბესაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელის სახლი, ქუთაისში